ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4207261

ნომერი: AR1331174

თარიღი : 31.07.2015

გაცემის თარიღი : 08.10.2018

გაცნობის თარიღი : 12.12.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 43 , (ნაკვ 10/073) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 43 , (ნაკვ 10/060);

დამკვეთი-განმცხადებელი

- უტა მაზიაშვილი პ/ნ 01026001199
- თბილისი ი.მოსაშვილის ქ. N 18

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 376250
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 8.10.2012

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: სახელი გვარი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "სანი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406033983
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: უტა მაზიაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01026001199

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1642.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1532.3
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 18600.3
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 9515.9
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 606.5
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 2618.5
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1571.0
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 598.4
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 3690.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 60400.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 46201.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 14199.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 69.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 61.15
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 8.65
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1076.6 კვ.მ კ1=0.7
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 13149.6 კვ.მ კ2=8.0
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 82.14 კვ.მ კ3=0.1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 450087
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 26.12.2012

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 450087
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 26.12.2012

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების (საქმე N3/6948-16) აღსრულების ფარგლებში განიხილა შპს „სანის“ 2015 წლის 31 ივლისის NAR1331174 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ:

შპს „სანის“ 2015 წლის 31 ივლისის NAR1331174 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ოქტომბრის N450087 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის

26 ოქტომბრის N450087 ბრძანების კანონიერების საკითხის განხილვა მიმდინარეობს 2013 წლიდან დღემდე სასამართლოში. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2013 წლის 18 მარტის N465 განკარგულებით არ დაკმაყოფილდა ლალი დურმიშიძის და სხვათა 2013 წლის 24 იანვრის N12/6759-4 ადმინისტრაციული საჩივარი და ძალაში დარჩა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 დეკემბრის N450087 ბრძანება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 07 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლალი დურმიშიძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა: ძალაში დარჩა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 დეკემბრის N450087 ბრძანება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2013 წლის 18 მარტის N465 განკარგულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით ლალი დურმიშიძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. ლალი დურმიშიძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2013 წლის 18 მარტის N465 განკარგულება, ძალაში დარჩა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 დეკემბრის N450087 ბრძანება. მერიას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2015 წლის 15 დეკემბერს გამოსცა N796 ბრძანება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ლალი დურმიშიძის და სხვათა 2013 წლის 24 იანვრის N12/6759-4 ადმინისტრაციული საჩივარი; ძალაში დარჩა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 დეკემბრის N450087 ბრძანება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე N3/79-16) ლალი დურმიშიძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა: ძალაში დარჩა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 დეკემბრის N450087 ბრძანება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 15 დეკემბრის N796 ბრძანება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე N3ბ/1766-17) ლალი დურმიშიძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება; ლალი დურმიშიძის სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 დეკემბრის N450087 ბრძანება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 15 დეკემბრის N796 ბრძანება.

დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნულ საქმეზე საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობს საქმის წარმოება და დასრულებული არ არის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე იმსჯელოს 2015 წლის 31 ივლისის NAR1331174 განცხადებით მოთხოვნილ სსიპ - თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 დეკემბრის N450087 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.